02/12/2024

MES 8 24 0001543248

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ ბიბილაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
თეა ლილუაშვილი- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
რუსუდან ზვიადაური-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნია გრიგალაშვილი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლა:
ინა ბიწაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლა:
თამარი წიკლაური- სკოლის დირექტორი

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა:
ხათუნა ქუქიშვილი - სკოლის დირექტორი

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა:
მაია გრიგოლიშვილი - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

შპს სკოლა თამარიონი+:
თამარ უთნელიშვილი - სკოლის დირექტორი;
სალომე ოსეფაშვილი - სკოლის იურისტი.

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა:

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი:
დავით კახნიაშვილი -სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტ ები):

სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლა:

ა) ნათია ქოქუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თინათინ ბედუკაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა მელქაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნინო კილაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მურუსიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა ცერცვაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეონა შერაზადიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე მაკარიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლა:

ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თამთა კამკამიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ნიკოლაშვილი(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) დალი კერესელიძე(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარი ჩიმაკაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მიმოზა ტყებუჩავა (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლა:

ა) ნათია ოზბეთელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დარეჯან ზარანდია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა თოდიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ნანა ქურთიაშვილი - თაბორიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) დალი კერესელიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო წიკლაური (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ჯულიეტა ტაბეშაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ალექსანდრე ლაცაბიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს სკოლა თამარიონი+:

ა) ლელა ფიცხელაური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) კესო ბოყოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მარინე ვაჩეიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე-(საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნინო გორგილაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ლანა კუჭავა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა:

ა) გიორგი ნებიერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მარიამ ღუბელაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) თეა ნინუა (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ხატია ჭალიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ვარდო გოგილავა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) თეოდორა ლემონჯავა (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი მწიგნობართუხუცესი:

ა) ქეთევან ბოტკოველი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნათელა ბასილია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 18 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სკოლა თამარიონი+ -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების
შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლას, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, 2023 წლის 15 ნოემბრის N1552694 ოქმის საფუძველზე, განესაზღვრა რეკომენდაცია 2024 წლის ნოემბრის ჩათვლით ცენტრში წარმოედგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნები, ასევე ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის. დაწესებულებამ 2024 წლის 30 ოქტომბერს წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტი, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ და ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აღნიშნული დოკუმენტები შემდგომი განხილვის მიზნით, მიეწოდა ავტორიზაციის საბჭოს.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები დაწესებულების წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭომ ცნობად მიიღო, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის საბჭოს მხრიდან განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

2. სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია ქოქუაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 08 და 09 ივლისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 60. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა ორ, ერთმანეთის გვერდიგვერდ არსებულ შენობაში, რომლებიც საჭიროებდა რეაბილიტაციას. დაწესებულებას ჰქონდა კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ადაპტირებული სველი წერტილი, ექიმის ოთახი, გარე სპორტული მოედანი.
ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰყავდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტექნოლოგიების მასწავლებლები. ასევე, არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.
ექსპერტის განმარტებით, სკოლის ეზოში მრავლად იყო მწვანე ნარგავები, რომელიც მოიპოვეს ინფრასტრუქტურული სასკოლო პროექტით „მარადმწვანე ეკო-ზონა ჩვენი სკოლის ეზოში“. აღნიშნულ პროექტში ჩართულები იყვნენ როგორც სასკოლო საზოგადოების წევრები, ისე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და თვითმმართველობის წარმომადგენლები.
ექსპერტმა, ნათია ქოქუაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო

საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, აიყვანა თუ არა სკოლამ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტექნოლოგიების მასწავლებლები და რამ გამოიწვია ამ მიმართულებით კადრის დეფიციტი.

ექსპერტმა, ნათია ქოქუაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა მდებარეობდა მაღალმთიან რეგიონში, სადაც კვალიფიციური მასწავლებლების დეფიციტი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ მამსიკაშვილმა, სკოლას მისცა რჩევა, კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმების პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მიემართათ მასწავლებლის სახლისთვის.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა. სკოლის დირექტორის, თამარი წიკლაურის, განმარტებით, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან მიუვიდათ უარი, ვინაიდან არ ჰქონდათ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობისთვის შესაბამისი სივრცე და დაწესებულება აპირებდა საკუთარი სახსრებით, საკლასო ოთახში მოეწყო საბუნებისმეტყევლო მეცნიერებების ლაბორატორია.

საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოსთვის წარედგინა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით. ასევე, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ბიბლიოთეკა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრის რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებდა, ხოლო რაც შეეხებოდა ბიბლიოთეკას, მოწყობილი იყო სააქტო დარბაზში.

საბჭოს წევრი, მაკა მამფორია, დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ჰყავდა სკოლას, აქვე, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა დაწესებულებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სკოლის დირექტორის, თამარი წიკლაურის, განმარტებით, სკოლას ჰყავდა 35 მოსწავლე, მათგან ერთი იყო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე.

საბჭოს მდივანი, მანანა ჯინჭარაძე, დაინტერესდა, ჩართული იყვნენ თუ არა მოსწავლეები სხვადასხვა აქტივობაში და ჰქონდა თუ არა სკოლას მოსწავლეთა წახალისების ფორმები.

სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ მოსწავლეები მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პროექტში და წახალისების მიზნით დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მადლობის სიგელები.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, სკოლის დირექტორის დეკრეტულ შვებულებაში ყოფნის დროს, ვინ ახორციელებდა მის უფლებებს.

სკოლის დირექტორის განმარტებით, დირექტორის ფუნქციას ასრულებდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60 - ით განსაზღვრის საკითხი.

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღე, 2024 წლის 18 ნოემბერი. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 16:32
დასრულების დრო - 16:37

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კოჭბანის საჯარო სკოლას (ს/კ:238146369) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღია 18 ნოემბერი.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კოჭბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი,სოფელი კოჭბანი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი კოჭბანი

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განაცხადა, რომ სკოლის ინტერესებიდან გამომდინარე, საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით, დაწესებულებაში გამოვლენილი რეკომენდაციების შესრულების ერთწლიანი ვადა არ იქნებოდა გონივრული

არსებული ხარვეზების სრულად აღმოფხვრელად. აქედან გამომდინარე, საბჭოს თავმჯდომარის თქმით, სკოლას ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება სრულად უნდა უზრუნველყო გონივრულ, კერძოდ, 2 წლის ვადაში.

- **საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:**

მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2026 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 1.2; 3.1; 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანის, მასში ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაციის ასახვის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების დოკუმენტის, მასწავლებელთა კანონმდებლობით დადგენილი ცნობებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნაში იდენტიფიცირებული ხარვეზების აღმოფხვრის, შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ინფორმაციული უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი რეაგირების პროცედურების განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავებისა და თავდაპირველად აშენებული შენობის რეაბილიტაციის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

3. სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 02 და 03 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების

დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულების თითოეული თანამშრომელი ერთმანეთს უცხადებდა თანადგომას, რაც გამოვლინდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების დროს. დაწესებულებას ჰქონდა გამწვანებული ეზო, გარე სპორტული მოედანი და შიდა სპორტული დარბაზი, სადაც განთავსებული იყო მაგიდის ჩოგბურთის მაგიდა, შვედური კედელი, ტრენაჟორი. მისი თქმით, სკოლაში წახალისებული იყო მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, ხორციელდებოდა მეზობელ სკოლებს შორის საერთო სპორტული ღონისძიებები და შეჯიბრებები.
ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემოსასვლელში ჰქონდა პანდუსი, თუმცა, უშუალოდ შენობის შიგნით გადასაადგილებლად არ იყო შექმნილი ინკლუზიური გარემო. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას ესაჭიროებოდა საჭირო რესურსებით აღჭურვა. მისი თქმით, სკოლის ბიბლიოთეკა იყო წიგნადი ფონდით გამდიდრებული.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია დაინტერესდა, რამდენად შესაძლებელი იყო მეორე სართულზე ასასვლელი კიბეზე პანდუსის მოწყობა.
ექსპერტის, ქეთევან ბაცანაკალაშვილის, მოსაზრებით, პანდუსზე მეტად, უმჯობესი იქნებოდა ლიფტის დამონტაჟება და აღნიშნული საკითხის მოგვარებისათვის სკოლას ჰქონდა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო – 16:55
დასრულების დრო – 17:03

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ გორისციხეს საჯარო სკოლას (ს/კ: 241494511) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ყაზბეგის მუნიციპალიტეტი, სოფელი გორისციხე

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), 3.1, 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის აღჭურვის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლების დასაქმების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის უზრუნველყოფის, საჯარო რეესტრის განახლებული ამონაწერის, ინკლუზიური გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს ხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნათია ოზბეთელაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 19 და 20 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 50. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 50 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო თანამშრომლობითი გარემო, ჰქონდათ ცვლილებებისადმი მზაობა, ხელს უწყობდნენ არაფორმალური განათლების განვითრებას და ამ მიზნით, თანამშრომლობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციასთან. ექსპერტის თქმით, 2023 წლის ზაფხულში მომხდარი სტიქიური მოვლენის პროცესების უმძიმესი შედეგები განსაკუთრებულდ შეეხო სასკოლო საზოგადოებასა და გლოლის თემს. ტრაგედიიდან, დღემდე სასკოლო და სათემო ცხოვრებაში სკოლა იყო ის ნათელი წერტილი, რომლის საქმიანობაც მომავალ თაობას ეხმარებოდა წინსვლასა და განვითარებაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარემო. სკოლის შესასვლელი იყო ადაპტირებული, თუმცა მეორე სართულზე გადაადგილებისთვის არ ჰქონდა პანდუსი, რის გამოც ყველა საჭირო სივრცე განთავსებული იყო პირველ სართულზე. სკოლას ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ექიმის ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი.

ექსპერტმა, ნათია ოზბეთელაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“,

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, კონკრეტულად, რომელი რჩევები გაითვალისწინა დაწესებულებამ.

ექსპერტის, ნათია ოზბეთელაშვილის, განმარტებით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევა და გამოაცხადა ვაკანსიები მასწავლებელთა დასაქმების მიზნით.
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ირმა თოდიძის, განმარტებით, დაწესებულებამ გადმოაგზავნა კურიკულუმები, სადაც გათვალისწინებული ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები.
საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ნანა ქურთიაშვილი-თაბორიძის, განმარტებით, სკოლა მიმღებლობისა და სიახლეებისთვის მზად იყო და გაითვალისწინა საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით გაცემული რჩევები, კერძოდ, კურიკულუმები გადმოაგზავნა განახლებული ფორმატით.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, საქმისწარმოების წესში აესახათ ინფორმაცია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული საშუალების გამოყენებსთან დაკავშირებით და მასწავლებლებთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში აესახათ ინფორმაცია შრომის ანაზღაურების შესახებ.
სკოლის წარმომადგენლის, მაია გრიგოლიშვილის განმარტებით, დაწესებულებას აღნიშნული საკითხები უკვე გამოსწორებული ჰქონდა.
საბჭოს მდივანმა, მანანა ჯინჭარაძემ, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, სასკოლო პოლიტიკის რომელი დოკუმენტის შემუშავებაში იღებდნენ მონაწილეობას მოსწავლეები და როგორი იყო სკოლის წარმომადგენლის ჩართულობა ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, მაია გრიგოლიშვილის, განმარტებით, მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართული ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით, სკოლის ეზოს მოწყობაც იყო მათი სურვილი და დაწესებულებამ მაქსიმალურად შეუწყო ხელი მათი ინიციატივების განხორციელებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:20
დასრულების დრო - 17:27

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ონის მუნიციპალიტეტის სოფელ გლოლის საჯარო სკოლას (ს/კ:237981207) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ონის მუნიციპალიტეტი, სოფელი გლოლა

5. შპს სკოლა თამარიონი+-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს ხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ შპს სკოლა თამარიონი+ -ში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 29 და 30 აგვისტოს. დაწესებულებას სურდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების, ქართულ ენაზე განხორციელება. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 120. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 120 მოსწავლისთვის (ორ ცვლაში).

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „ არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა, წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს არ ჰქონდა პანდუსი, დაწესებულებას ასევე არ ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, ხოლო ექსპერტის თქმით, სპორტის გაკვეთილისთვის იყენებდნენ სკოლის შენობაში არსებულ საერთო სივრცეს. დაწესებულებაში არსებული სამედიცინო ოთახი არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიას არ ჰქონდა გამწოვი კარადა და არც ოთახი იძლეოდა განიავების შესაძლებლობას, არ იყო გამოყოფილი გოგონებისა და ვაჟების სველი წერტილები.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ერთი ცვლის პირობებში რამდენი მოსწავლის მიღება შეეძლო დაწესებულებას. ასევე, ჰქონდა თუ არა რაიმე პროექტი, რომელშიც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ შეძლებდნენ მოსწავლეები ჩართვას.

ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა 7 საკლასო ოთახი და ერთ ცვლაში შეეძლო მაქსიმუმ 60 მოსწავლის მიღება. ასევე, აღნიშნა, რომ დაწესებულებას მისიით განსაზღვრული ჰქონდა სხვადასხვა აქტივობა.

საბჭოს წევრი, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ეს იყო ის სკოლა, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ წარსულში მიანიჭა ავტორიზაცია თუ თვისებრივად ახალ დაწესებულებას წარმოადგენდა.

ცენტრის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის 2018 წლის 17 მაისის N22 გადაწყვეტილებით, შპს სკოლა თამარიონი +ს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, დაწესებულებას ცენტრისთვის არ მოუმართავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის უწყვეტობის მიზნით. შესაბამისად, ამოეწურა ავტორიზაციის ვადა. შპს სკოლა თამარიონ+, რომელმაც ცენტრს მომართა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოპოვების მიზნით, წარმოადგენდა ახალ იურიდიულ პირს (ახალი საიდენტიფიკაციო კოდით), შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც პირველადი ავტორიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ირიცხებოდნენ თუ არა მოსწავლეები აღნიშნულ დაწესებულებაში.

ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში ხორციელდებოდა მოსწავლეთა მობილობა და სასწავლო პროცესი არ მიმდინარეობდა.

საბჭოს წევრი, გიორგი გიგიბერია, დაინტერესდა, გარდა სახელისა და იურიდიული პირის ცვლილებისა, განხორციელდა თუ არა რაიმე ძირეული ცვლილებები აღნიშნულ დაწესებულებაში.

დირექტორის, თამარ უთნელიშვილის, განმარტებით, დაწესებულებას შეეცვალა დირექტორი, გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ თავდაპირველად რეავტორიზაციის განაცხადის ვერ შემოტანის მიზეზი გახდა საავტორიზაციო საფასურის გადახდასთან დაკავშირებული პრობლემა.

საბჭოს წევრმა, მაკა მამფორიამ, აღნიშნა, რომ სხვა ინფრასტრუქტურული საკითხების, მათ შორის სველი წერტილების გაუმართაობის პრობლემა ჰქონდა თავდაპირველად ავტორიზებულ შპს სკოლა თამარიონ+საც.

სკოლის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა სამი სველი წერტილი, ერთ-ერთი (მეოთხე) იყო რეაბილიტაციის პროცესში და არ იყო დასრულებული ექსპერტთა

ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, შესაბამისად, ვერ შემოწმდა მათ ექსპერტთა მიერ. მისი თქმით, დაწესებულებას ასევე გამიჯნული ჰქონდა გოგონებისა და ვაჟების საპირფარეშოები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა დრო ჰქონდა ავტორიზაციისთვის მოსამზადებლად.
სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, თავდაპირველად არ აპირებდნენ ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის გაგრძელებს, თუმცა, მოგვიანებით გადაწყვიტეს, რომ გაევლოთ ავტორიზაცია და მოსამზადებლად ჰქონდათ მხოლოდ ორი თვე.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, განემარტა, რამ გამოიწვია მთელი რიგი სტანდარტების შეუსაბამობა და რატომ იყო კურიკულუმები ხარვეზებით წარმოდგენილი.
დირექტორმა, თამარ უთნელაშვილმა, აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებზე, დაწესებულებამ, აქტიურად დაიწყო მუშაობა და მიმდინარეობდა კურიკულუმების დახვეწა მასწავლებლებთან ერთად.
იურისტის, სალომე ოსეფაშვილის, განმარტებით, 1-ელ სტანდარტთან მიმართებით დახარვეზებული იყო სტრატეგიული გეგმის დამტკიცების საფუძვლები და სასკოლო საზოგადოებასთან სკოლის ფილოსოფიის გაზიარების საკითხი. მისი თქმით, დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი, რომელიც მუშაობდა სკოლის ფილოსოფიაზე, ასევე, გამოსწორდა სტრატეგიული გეგმის დამტკიცების საფუძვლები და მიეთითა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმების დამტკიცება შედიოდა სკოლის დირექტორის უფლებამოსილებაში. შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან დაკავშირებით კი, სკოლის იურისთმა განმარტა, საავტორიზაციო ვიზტის დროისთვის დაწესებულებას არ ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თუმცა, მისი თქმით, მოგვიანებით აღმოფხვრეს ეს ხარვეზი და დაასაქმეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთანაც გაფორმდა კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება.
ექსპერტმა, ლელა ფიცხელაურმა, აღნიშნა, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ დაწესებულებამ ნამდვილად აიყვანა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, თუმცა, საავტორიზაციო ვიზიტის დროს გამოვლინდა სხვა ხარვეზიც, კერძოდ, დაწესებულებამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ხელშეკრულება, რომელზეც იყო იმ პირის ხელმოწერა, რომელთანაც სკოლას არ ჰქონდა არანაირი სახის კავშირი ბოლო ორი წლის განმავლობაში.
ექსპერტის, კესო ბოყოველის განმარტებით, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების დოკუმენტი. რაც შეეხებოდა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას, ვერ დადგინდა, ვინ იყო კომპეტენტური სტრუქტურული ერთეული ან პირი, რომელიც ამტკიცებდა სტრატეგიულ გეგმას.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, გაეკეთებინა განმარტება ხელშეკრულებაზე გარეშე პირის ხელმოწერასთან დაკავშირებით. სკოლის დირექტორმა, განმარტა, რომ ზემოთხსენებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი დაწესებულებაში დასაქმებული იყო ორი წლის წინ. მისი თქმით, სატელეფონო კავშირის დროს აღნიშნულ პიროვნებას შესთავაზა თანამშრომლობის გაგრძელება, რაზეც მიიღო დადებითი პასუხი, თუმცა, მოგვიანებით, გარკვეული პრობლემების გამო, ვერ შეძლო ხელშეკრულებისათვის ხელის მოწერა. მისი განმარტებით, საქმისმწარმოებლის ტექნიკური შეცდომა (ახალი ხელშეკრულებისათვის ძველი ხელშეკრულების ფურცლების მიმაგრება) უკავშირდებოდა ამ ფაქტს. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც აღნიშნულ პიროვნებასთან ვერ შედგა საქმიანი ურთიერთობა, დაასაქმეს სხვა პიროვნება.
საბჭოს წევრი, ნატო გაბოშვილი, დაინტერესდა, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება მიიღებდა ავტორიზაციას, რა გეგმები ჰქონდა სამომავლოდ და რა სიახლეს დანერგავდნენ საგანმანათლებლო სფეროში. დირექტორის განმარტებით, დაწესებულება ორიენტირებული იქნებოდა ხარისხის უზრუნველყოფაზე, პასუხისმგებლიანი და აქტიური მოქალაქეების აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა თამარიონი+ -ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 120- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 17:55
დასრულების დრო - 18:02

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 4
წინააღმდეგი -6

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა, რომ საბჭოს წევრების მოსაზრებით, დაწესებულება ავტორიზაციის პროცესს შეხვდა მოუმზადებელი, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გამოვლენილი ხარვეზები და დასკვნის პროექტში ასახული გარემოებების საფუძველზე, მიიჩნია, რომ დაწესებულება ვერ შეძლებდა მოსწავლეებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო სერვისის მიწოდებას.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა თამარიონი+ ს (ს/კ:418482895) უარი ეთქვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მინიჭებაზე.

6. სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს ხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი

განხორციელდა 2024 წლის 19 და 20 სექტემბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 100. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 100 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) , მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (საბაზო და საშულო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტის თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, შიდა სპორტული დარბაზი. მისი თქმით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში არ იყო გამწოვი კარადა, ასევე სკოლას არ ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, თუმცა დაწესებულების სიახლოვეს იყო მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მოედანი, რომელსაც აქტიურად იყენებდა სკოლა, ასევე,
ექსპერტის თქმით, სკოლა ჩართული იყო სხვადასხვა პროექტში არაფორმალური განათლების განვითარების მიმართულებით, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისიწნებით კი შექმნილი იყო სხვადასხვა თემატური კლუბი, ასევე, აქტიურად ფუნქციონირებდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, ვებ-გვერდზე განეთავსებინა სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, განემარტა, როგორი მოლოდინები ჰქონდა სკოლის მიმართ გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართულებით. ექსპერტმა, გიორგი ნებიერიძემ, განმარტა, რომ მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება იყო ძალიან მოტივირებული და ყველა რჩევა, რაც კი ადგილზე გაიცა, იქვე იქნა გათვალისწინებული. მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის, ნატო გერგაიას განმარტებით, ყველა კლასში იყო სწავლების განსხვავებული მიდგომა და ამასთან დაკავშირებით გაიცა რჩევები. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს, გამოიკვეთა მათი მზაობა გაცემული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, მე-7 კლასის გეოგრაფიაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებები რამდენად შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის, ხატია ჭალიძის, განმარტებით, საზოგადოებრივი მიმართულებებით სკოლას ჰქონდა კარგად დამუშავებული კურიკულუმები, თუმცა, საჭიროებდა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მეტ კავშირს, შესაბამისად, შემაჯამებელი დავალებები და შეფასების რუბრიკები საჭიროებდა დახვეწას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 100- ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 18:22
დასრულების დრო - 18:29

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებისა და 27 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლას (ს/კ:247861997) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიჭაური, მე-2 ქუჩა, N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიჭაური, მე-2 ქუჩა, N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	შუახევის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხიჭაური, მე-2 ქუჩა, N3

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ცენტრის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისგანხილვით**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ნოემბერში 2.2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლის დასაქმების, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა და სკოლის შენობაში ადაპტირებული სველი წერტილის, პანდუსისა და რესურს ოთახის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

7. შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, არაგეგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 18 სექტემბერს, სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N1036293 ბრძანების საფუძველზე. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე.

ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებაში არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის საფუძველი იყო, მოქალაქის განცხადება, რომელიც ეხებოდა დაწესებულებაში მიმდინარე წლის 12 ივნისს მომხდარ ინციდენტს.

ექსპერტის თქმით, ექსპერტტა ჯგუფი გაესაუბრა დაწესებულების ხელმძღვანელებს, ხარისხის მენეჯერს, ყოფილი მე-3 კლასის მასწავლებლებს, სკოლის იურისტს, მშობლებს და ასევე, სატელეფონო გასაუბრება ჰქონდათ მომჩივან მშობელთან.

ექსპერტის თქმით, ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში და დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას, ასევე წარმოადგინა გარკვეული მტკიცებულებები.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, განმარტებით, შესწავლილი კორესპონდენციების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ამა წლის 17 ივნისს, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შევიდა საჩივარი, საადვოკატო ბიურო ნაკაშიძე და პარტნიორების მიერ, რომელიც იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის იდენტიფიცირებული მოსწავლის მშობლის ადვოკატი. საჩივარის თანახმად, მოსწავლე ლ.მ-სა და თანაკლასელებს შორის საპირფარეშოს ტერიტორიაზე მოხდა

ინციდენტი. თანაკლასელები იმყოფებოდნენ საპირფარეშოში, სადაც ლ.მ-ს უსამართლოდ და დაუსაბუთებლად დაბრალდა დ-სთვის ტანსაცმლის გახდა. ლ.მ-ს განმარტებით, ბავშვები იმყოფებოდნენ საპირფარეშოში, სადაც იყო არასასიამოვნო სუნი და მოსწავლეებმა სახეზე აიფარეს მაისურები. დ სახეზე მაისურ აფარებული ესაუბრებოდა ლ.მ-ს და ვინაიდან ლ.მ-ს არ ესმოდა დ-ს საუბარი, სცადა მისთვის პირზე აფარებული მაისურის ჩამოწევა, რა დროსაც იგი გადაიწია და აღნიშნულმა გამოიწვია ლ.მ-ს მხრიდან ბალანსის დარღვევა და დ-ს ტანსაცმელზე ჩამოებღაუჭება. ექსპერტის თქმით, საჩივარში ასახული იყო, რომ აღნიშნული ინციდენტის არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა სკოლის დირექტორისა და დამრიგებელი მასწავლებლის მხრიდან, რასაც შედეგად მოჰყვა ლ.მ-ს მიმართ დამოკიდებულების უსამართლოდ შეცვლა მთელი კლასისა და მათ შორის დამრიგებლის მხრიდან. საჩივარში, ასევე აღწერილი იყო ის, რომ დამრიგებელ მასწავლებელს მანამდეც ჰქონდა ლ.მ-ს მიმართ უსამართლო დამოკიდებულება, მაგალითად: ერთ-ერთ ეპიზოდში მასწავლებელმა ლ.მ-ს დაავალა იატაკის მოწმენდა და ამ ფორმით სცადა მისი დასჯა. როგორც საქმის მასალებიდან, ასევე, დამრიგებელთან ჩატში მიმოწერებიდან ირკვეოდა, იატაკი დაბინძურდა ლ.მ-ს ფეხსაცმელით. აღნიშნულს არ ეთანხმებოდა ლ.მ-ს მშობელი, ასევე მშობელმა საუბრისას აღნიშნა, რომ მასწავლებელი დაფაზე ხატავდა გულებს და იმ ბავშვის სახელი, რომელიც „კარგად იქცეოდა“ იწერებოდა დაფაზე დახატულ გულში, თუმცა ლ.მ იყო „გულს მიღმა მოსწავლე“, რაც გულისხმობდა იმას, რომ მისი სახელი არასდროს მოხვედრილა მასწავლებლის მიერ დახატულ გ უ ლ შ ი .

ექსპერტმა, ასევე, ყურადღება გაამახვილა საჩივარში დაფიქსირებულ ერთ-ერთ საკითხზე, კერძოდ, კლასში იყო ქაღალდის ყუთები, სადაც სისტემატურად ხდებოდა ბავშვების ყოფაქცევის შეფასება: მწვანე ყუთში ხვდებოდა იმ მოსწავლის სახელი, რომელიც იქცეოდა "ცუდად", ხოლო, წითელში მათი სახელი, ვინც იქცეოდა "კარგად". ლ.მ-ს მუდმივად უგროვდებოდა მხოლოდ მწვანე, რასთან დაკავშირებითაც პედაგოგთან გამოთქვამდა პროტესტს. მასწავლებელი განმარტავდა, რომ მწვანე ფერი კონკრეტულ მოსწავლეს უგროვდებოდა მხოლოდ იმიტომ, რომ მშობელს ადრე მიჰყავდა სკოლიდან, ვინაიდან ბავშვს ა რ მ ო ს წ ო ნ დ ა ს კ ო ლ ი ს ს ა ჭ მ ე ლ ი .

2024 წლის 15 მაისს, მომჩივანმა მშობელმა მიმართა სკოლის დირექციას განცხადებით, რომ კლასის დამრიგებელი თავს ვერ ართმევდა დაკისრებულ მოვალეობებს. ექსპერტის თქმით, აღნიშნულმა ფაქტმა გააღვივა კონფლიქტი მომჩივან მშობელსა და კლასის სხვა მშობლებს შორის, ვინაიდან მათ მოსწონდათ კლასის დამრიგებლის მიდგომები.

ამა წლის 15 აგვისტოს, ლ.მ-ს დედამ განმეორებით მიმართა განცხადებით საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს და წარუდგინა დამატებითი მკტიცებულებები, კერძოდ: მოსწავლეების მშობელთა გასული წლების მიმოწერის ამსახველი ფოტომასალა, სადაც მშობლები გამოთქვამდნენ პრეტენზიებს მასწავლებლებისა და დამრიგებლის მიმართ; სკოლის იურისტთან მიმოწერის ამსახველი მასალა, სადაც მშობელი გამოთქვამდა პრეტენზიას, რომ ლ.მ-ს გამოსამშვიდობებელ ღონისძიებასთან დაკავშირებით კლასის მშობლები არ გააფრთხილეს; თანაკლასელის მშობელთან კლასის საჭიროების შეძენისთვის გადარიცხვების დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი, მათემატიკის დავალებების ფოტო-მასალა, რომელიც ამტკიცებდა, რომ კარგი ნამუშევრების მიუხედავად, მასწავლებელს არსად ჰქონდა დადებითი მინაწერი, რასაც სხვა ბავშვების შემთხვევაში აკეთებდა და დამრიგებლის მიერ მოსწავლის, დასჯის, ჩაგვრისა და არათანაბარ პირობებში ჩაყენების 10 ფაქტი.

საჩივარში, ასევე, აღწერილი იყო ფაქტი, რომ ლ.მ-ს მშობელმა განცხადებით მიმართა სკოლას და მოითხოვა საკითხზე რეაგირება, თუმცა, განცხადება არ დაურეგისტრირეს და იძულებული გახდა კონსულტაცია გაევლო ადვოკატთან. მისი თქმით, ადვოკატთან ოფიციალური ხელშეკრულება არ გაუფორმებია და არც მინდობილობა გაუცია, თუმცა, ადვოკატმა მაინც მოახერხა განცხადების რეგისტრაცია და ლ.მ-ს შესახებ ინფორმაციის არაოფიციალურად გაცნობა, რაც სკოლის მხრიდან გადაცდომა და დარღვევა იყო. ყოველივე ეს ადვოკატმა

მოსწავლის მშობლის თანხმობის გარეშე გააკეთა, ასევე, განცხადებაზე პასუხი არ ეცნობა მას, ამდენად, ოფიციალურად მოხდა თუ არა საკითხის მოკვლევა მშობლისთვის უცნობია. მომჩივანის განცხადებით, ლ.მ-ს მშობელი იძულებული გახდა შეეწყვიტა ბავშვის სკოლაში ტარება და გადაიყვანა სხვა სკოლაში, რის გამოც ბავშვის მორალურ ზიანთან ერთად, ოჯახს მიადგა ფინანსური ზიანი.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით, ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის პოზიციაც და განხორციელებული აქტივობები. საპირფარეშოს ინციდენტთან დაკავშირებით, 04 ივლისს, შპს სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მიერ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისადმი გადაგზავნილ საპასუხო წერილში ნათქვამი იყო, რომ სკოლის დირექტორმა ადგილზევე მოიკვლია საპირფარეშოში მომხდარი ფაქტი. მას შემდეგ, რაც კლასის დამრიგებელი დაუკავშირდა, მალევე გამოცხადდა ინციდენტის ადგილას, გაერკვა სიტუაციაში, ესაუბრა მოსწავლეებს და დაადგინა, რომ რაიმე დამამცირებელ ქმედებას ადგილი არ ჰქონია, შეარიგა ბავშვები და დამშვიდებულები დატოვა კლასში. დირექტორმა, იქვე დააფიქსრა თავისი პოზიცია დამრიგებლის მიმართ და სთხოვა, მიექცია ყურადღება ბავშვებისთვის, რათა ამგვარ გაუგებრობას ადგილი არ ჰქონოდა. აღნიშნულის შემდგომ, მშობლებსა და დამრიგებელს შორის შედგა არასწორი კომუნიკაცია, რამაც გაამძაფრა სიტუაცია, თუმცა სკოლის დირექტორი შეხვდა მათ, გაერკვა საქმის ვითარებაში და განუცხადა, რომ გაპროტესტებულ ქმედებას ადგილი არ ჰქონია ლ.მ-ს მიერ, მოაგვარა აღნიშნული კონფლიქტი და მას შემდგომ არც ერთ მშობელს რაიმე სახის პრეტენზია მოსწავლე ლ.მ-ს მიმართ არ გამოუხატავთ.

ექსპერტის თქმით, სკოლას შემუშავებული ჰქონდა „მშობელთან ურთიერთობის დებულება“ და ამ დებულების 33-ე მუხლის თანახმად, მშობელი ვალდებული იყო: დაეცვა სხვისი პერსონალური მონაცემები, არ გაესაჯაროვებინა სკოლის შიდა აქტივობები, მიმოწერა სკოლის/კლასის ჯგუფებიდან. მომჩივანი მშობლის მხრიდან არასწორ ქმედებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან მშობელთა ჩათის მიმოწერა გააცნო სხვა პირებს. დაირღვეული იყო, ასევე დამრიგებლის ვალდებულებები მშობლებთან ურთიერთობისას (მუხლი 4, პუნქტი 4.8 მშობლის/კანონიერი წარმომადგენლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს არ დაუშვას მოსწავლის ღირსების შელახვა, უხეშობა). მასწავლებლის მხრიდან ასევე დაირღვა მუხლი 7-მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. პუნქტი 7.7 (მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების დროს მოსწავლის შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მრავალმხრივი და აუცილებლად პოზიტიურიდან პრობლემისკენ მიმართული). ამ მუხლების არაჯეროვნად შესრულებლის გამო, დამრიგებელს გამოეცხადა გაფრთხილება.

დაწესებულება წარმოდგენილი ჰქონდა დამრიგებლის ანგარიში, რომლის თვითშეფასების ნაწილში აღნიშნავდა, რომ მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და დასაფიქრებელი იყო სიტუაცია კლასში, რომლის მოგვარება და წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრა, სამწუხაროდ, ვერ მოახერხა. პროცესები გახდა უმართავი. მიუხედავად იმისა, რომ კლასში ხშირად განიხილავდნენ სხვადასხვა სიტუაციურ ამოცანებს, სახავდნენ დილემებს და უყურებდნენ სხვადასხვა ანიმაციას, ფსიქოლოგიც სტუმრობდა კლასს, მაინც ვერ მოხერხდა პრობლემის მოგვარება. მასწავლებელი თვლიდა, რომ უმჯობესი იქნებოდა, უფრო მეტად ემუშავა მოსწავლეებს შორის კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენაზე.მასწავლებლის აზრით, მხოლოდ საკუთარ ძალებს არ უნდა დაყრდნობოდა და უნდა მიემართა უფრო გამოცდილი მასწავლებლებისთვის და მიეღო კონსულტაციები, თუ როგორ გამკლავებოდა კლასში წარმოქმნილ პრობლემებს.

ექსპერტის თქმით, სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის დირექტორის ბრძანებით, კლასის დამრიგებლისთვის დაინიშნა ტუტორი მასწავლებელი და მეორე დამრიგებელი, რამდენადაც, მოსწავლე ლ.მ-ს დაბრუნების შემთხვევაში, მისი საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, მის მშობელსა და მოსწავლეს მშვიდად ეგრძნოთ თავი. დამრიგებელმა ასევე წარმოადგინა პორტფოლიო, რომლითაც დგინდებოდა, რომ სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, მას მიმდინარე წლისთვის დაგეგმილი ჰქონდა ისეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება,

როგორიც იყო: უფლებები, მავნე ჩვევების საფრთხე, გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბება, ცნება „თანაკლასელი“ და სხვა. ასევე, დაწესებულებას წარმოადგენილი ჰქონდა დამრიგებლის პროფესიული განვითარების გეგმა.

ექსპერტის თქმით, აღნიშნული დამრიგებელი კვლავ იმავე კლასის დამრიგებლად დარჩა, ვინაიდან სხვა მშობლებს არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ მასთან და მოსწავლეებიც ითხოვდნენ მის დამრიგებლად დატოვებას. აღსანიშნავი იყო, რომ გასაუბრების შედეგებით და განხორციელებული აქტივობების შედეგებით, სკოლის დირექცია, კლასის მასწავლებლები და თავად დამრიგებელი სრულ მზადყოფნას გამოხატავდნენ ლ.მ-ს სკოლაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

რაც შეეხებოდა მოსწავლეთა გამოსამშვიდობებელ ღონისძიებას, სკოლის პასუხში მოყვანილი იყო ფაქტები, რომ მათ უზრუნველყვეს დამშვიდობების ცერემონიის დაორგანიზება ექსკურსიის სახით, მშობელმა გადაიხადა თავისი წილი თანხაც, თუმცა ლ.მ ექსკურსიაზე არ წაიყვანა.

ექსპერტმა ისაუბრა სტანდარტების შეფასებაზე:

ინდიკატორი 3.1.2- **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა** - ექსპერტის თქმით, სკოლამ ვერ წარმოადგინა, კონკრეტულ მასწავლებელთან მიმართებით, პრევენციული ღონისძიებების ამსახველი მტკიცებულებები, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა ინტერვენციული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტები. კერძოდ: მასწავლებელს დაენიშნა გამოცდილი ტუტორი (სკოლა-ლიცეუმის დირექტორის 2024 წლის 09 სექტემბრის ბრძანება N05/59 - „კლასში მ.უ.-ის ტუტორ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ“), რაც გამყარებული იყო შინაგანაწესის 4.2. მუხლით - დასაქმებული საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს იმ კოლეგებს, რომელთა კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ამას საჭიროებდა. კლასს დაენიშნა, ასევე მეორე დამრიგებელი, რაც არსებული დამრიგებლის განვითარებისკენაა მიმართული (დირექტორის ბრძანება 05/61 18.09.2024 „მ. ჩ.-ს კლასის დამრიგებლად დანიშვნის შესახებ“). უნდა აღინიშნოს, რომ სკოლამ ახალი სასწავლო წლისთვის დაგეგმა ინტერვენციული ღონისძიებები კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით. ინდიკატორი შეფასებულ იქნა დაკმაყოფილებულად.

ინდიკატორი 3.2.1- **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები** - სკოლას ჰქონდა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. სკოლა პერიოდულად იკვლევდა პერსონალის საჭიროებებს, რისთვისაც გამოიყენებოდა გასაუბრებები და კითხვარები. სკოლაში მოქმედებდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუშაობას წარმართავდა განსაზღვრული წესის საფუძველზე. თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში, სკოლას არ უწარმოებია დაკვირვება მასწავლებელზე (მ.შ). მხოლოდ პირველ კლასში ჰყავდა მას ტუტორი, ხოლო მეორე და მესამე კლასებში, იგი დამოუკიდებლად ხელმძღვანელობდა კლასს. სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, მას დანიშვნოდა ტუტორი და სამოქმედო გეგმის თანახმად, მასზე განხორციელებულიყო დაკვირვება, მისი განვითარების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულად მიიჩნია.

ინდიკატორი 3.3.1 **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები** - ექსპერტის თქმით, პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილი იყო სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრული იყო მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შინაგანაწესით გაწერილი იყო, ასევე პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში, თანამშრომლისთვის და მშობლებისათვის მათი უფლება მოვალეობების და შიდა სასკოლო რეგულაციების გაცნობის ვალდებულება. შინაგანაწესით განსაზღვრული იყო, ასევე განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, რომლის თანახმად მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება ჰქონდათ, თავიანთი უფლებებისა

და თავისუფლებების დასაცავად გაესაჩივრებინათ სკოლის პერსონალის არამართლზომიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნდათ, რომ ილახებოდა საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლამ, მშობლის საჩივრის საფუძველზე, მოიწვია დისციპლინური კომიტეტი, კონკრეტულ მასწავლებელთან მიმართებით, მაგრამ არ შეატყობინა მომჩივანს სხდომის ჩატარების შესახებ და არ გააცნო მას მიღებული გადაწყვეტილება, იმ მოტივით, რომ მშობელს მოსწავლე უკვე გადაყვანილი ჰყავდა სხვა სკოლაში. სკოლამ არ გაითვალისწინა ის, რომ მშობელი კვლავ ითვლებოდა სასკოლო საზოგადოების წევრად, რამდენადაც მისი, უფროსი შვილი ამავე სკოლის მოსწავლე იყო. შესაბამისად, დასკვნის პროექტის ფარგლებში ინდიკატორის მოთხოვნები შეფასდა, შეუსაბამოდ. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა მშობლის თ.ს-ს ადვოკატის 2024 წლის 16 ოქტომბრის „პასუხი განცხადებაზე N02/273“, რითაც დასტურდებოდა, რომ იგი სკოლა ლიცეუმ მწიგნობართუხუცესში შესაბამისი ორდერის N534/24 საფუძველზე ახორციელებდა ლ.მ.-ს და მისი მშობლის თ.ს.-ს ინტერესების დაცვას. იგი 2024 წლის 15 მაისის განცხადებაზე რეაგირების მოთხოვნის მიზნით შეხვდა სკოლის დირექტორს და აღმასრულებელ დირექტორს. როგორც მის განცხადებაში იყო აღნიშნული - მხარეთა კომუნიკაციის შედეგად 2024 წლის 21 მაისს სკოლის მიერ გამოიცა ბრძანება კლასის დამრიგებლის მ.შ.-ს დისციპლინური გადაცდომისა და სახდელის დადების შესახებ, რომელიც მან 2024 წლის 21 მაისს, გააცნო მომჩივან თ.ს-ს. აქედან გამომდინარე, სკოლის დარღვევა, ამ პუნქტთან მიმართებით არ დადასტურებულა.

ინდიკატორი 3.4.1- **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**. ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლას ჰყავდა ფსიქოლოგი. სადამრიგებლო პროგრამები მიმართული იყო ბულინგისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოსწავლეებისათვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებისაკენ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კონკრეტული საქმის შესწავლის შედეგად, კლასის დამრიგებელმა ვერ უზრუნველყო ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნა ლ.მ-სთვის, რამდენადაც მასწავლებლის არაპედაგოგიურმა ქმედებამ „გულსმიღმა“ ბავშვის დატოვებამ, ასევე დაუსაბუთებელი ვარაუდის გამო, მოსწავლის შესახებ არაზუსტი ინფორმაციის გავრცელებამ სხვა მოსწავლეების მშობლებთან, ზიანი მიაყენა მოსწავლეს და მოახდინა ბავშვზე ფსიქო-ემოციური ზეგავლენა. შესაბამისად დასკვნის პროექტის ფარგლებში შეფასდა, როგორც არ შეესაბამება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით დგინდებოდა, რომ ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით სკოლა გააქტიურდა, დაგეგმა და დაიწყო განხორციელება რიგი აქტივობებისა, კერძოდ, კონკრეტული მასწავლებლის სადამრიგებლო მუშაობა მიემართა ბულინგისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოსწავლეებისათვის სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას. პასუხისმგებლობა ამ საკითხების შესრულებაზე დაეკისრათ სკოლის დირექტორს, ხარისხის მენეჯერს, კონკრეტული მასწავლებლის ტუტორს და ამავე კლასის მეორე დამრიგებელს. დასტურად სკოლამ წარმოადგინა: ხარისხის მართვის ჯგუფის სამოქმედო გეგმა, ტუტორის სამოქმედო გეგმა, დამრიგებლის პორტფოლიო. გამომდინარე აღნიშნულიდან ინდიკატორი შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“ და სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია - უზრუნველეყო შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების გატარება, კერძოდ: მეტი დრო დაეთმო ბულინგისა და კონფლიქტების წინააღმდეგ და მოსწავლეებში სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებაზე, გაეგრძელებინა კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა, მასზე დაკვირვება და მთელი სკოლის მასშტაბით გაეტარებინა პრევენციული ღონისძიებები, რაც მიმართული იქნებოდა ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს განმტკიცებისაკენ. ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი.

ექსპერტის განმარტებით, სკოლას ჰყავდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და შემუშავებული ჰქონდა შესაბამისი დებულება. თუმცა, მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში არ იყო ასახული პერსონალურ მონაცემთან დაკავშირებული საკითხები და არც სხვა შეთანხმების დოკუმენტი ვიზიტის პერიოდში სკოლას არ წარმოუდგენია, თუმცა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულების დანართი, რომლითაც დგინდებოდა, რომ მშობელი, პერსონალურ მონაცემთა გასაჯაროების საკითხზე, თანხმობას ამ ფორმით განახორციელებდა. რამდენადაც ექსპერტები ვერ გაეცნენ ხელმოწერილ დოკუმენტებს და ვერ ადასტურებდნენ, რომ მშობლებს მოწერილი ჰქონდათ ამ დანართზე ხელი, სკოლას მიეცა შესაბამისობის რეკომენდაცია: უზრუნველეყო სკოლის ყველა მშობლის მიერ ამ დოკუმენტის გაცნობა.

ინდიკატორი 3.6.2 - **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი.** ე ქსპერტის თქმით, ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა სკოლა-ლიცეუმის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესები", რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ N05/48 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 3 - აღწერდა შემოსული კორესპოდენციის აღრიცხვის წესს. მუხლი 4 კი, შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვისა და მასზე პასუხის მომზადების წესს - თუმცა მასში არ იყო მითითებული პასუხის მომზადების და გაგზავნის ვადები. არც იმაზე იყო საუბარი, თუ რა ფორმით უნდა გაიცეს პასუხი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით და დირექტორის მიერ 2024 წლის 14 ოქტომბრის N 05/68 ბრძანებით დგინდებოდა, რომ ცვლილება შევიდა სკოლის საქმისწარმოების წესში და განისაზღვრა რეგისტრირებულ კორესპონდენციაზე მომზადებისა და პასუხის გაცემის ვადები. შესაბამისად სკოლას მიეცა რჩევა: უზრუნველეყო შემოსული რეგისტრირებული კორესპონდენციის განხილვის და მასზე პასუხის მომზადება განსაზღვრული ვადების დაცვით. ინდიკატორის მოთხოვნები ექსპრტთა ჯგუფმა შეაფასა დაკმაყოფილებულად.

საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ექსპერტებმა ნახეს თუ არა რაიმე სახის მტკიცებულება, რაც აფიქრებინებდათ, რომ ორი დამრიგებელი იმუშავებდა ჰარმონიულად, თანაბრად და არ შეასრულებდნენ ცალკეული მოსწავლეების დამრიგებლის როლს.

ექსპერტის, ქეთევან ბოტკოველის, განმარტებით, სკოლას ჰქონდა ერთ კლასში ორი დამრიგებლის ყოლის გამოცდილება. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოსწავლეს სურდა კლასში დაბრუნება და უყვარდა თავისი დამრიგებელიც. ასევე, როდესაც მომჩივანმა მშობელმა შეიტყო, რომ კლასს ეყოლებოდა ორი დამრიგებელი, ამ ფაქტმა შედარებით დაამშვიდა სიტუაცია. ექსპერტმა, ასევე, აღნიშნა, რომ ექსპერტები გაესაუბრნენ სხვა მასწავლებლებსა და მშობლებსაც და გაოცებულნი იყვნენ მომხდარი ფაქტით. მისი თქმით, სკოლა ზრუნავდა მასწავლებლის განვითარებაზე და ნაცვლად იმისა, რომ გაეთავისუფლებინა სამსახურიდან, მის მიმართ განახორციელა სხვადასხვა განმავითარებელი ღონისძიება.

სკოლის დირექტორის, დავით კახნიაშვილის განმარტებით, სკოლა დიდიხანია ფუნქციონირებდა, თუმცა მსგავსი შემთხვევა არასდროს მომხდარა. მისი თქმით, აღნიშნული დამრიგებელი იყო დამწყები და ვერ შეძლო სიტუაციის მართვა, სხვა მხრივ, სამუშაო პროცესში მუდმივად აქტიურად იყო ჩართული მომჩივანი მშობლის შვილიც და დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ მოსწავლე-მასწავლებელს. რაც შეეხებოდა ორ დამრიგებელს, სკოლის დირექტორმა, აღნიშნა, რომ კლასს ეყოლებოდა ერთი დამრიგებელი, ხოლო „ზედამხედველად" გამოჰყო სხვა პიროვნება, რათა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა რაიმე სახის გადაცდომა, საქმის კურსში ჩაეყენებინა დირექტორი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, მას დაურეკეს იმ სკოლიდან, რომელშიც გადავიდა მოსწავლე და შეაქებს მისი აკადემიური მოსწრების გამო, რაშიც, რა თქმა უნდა, დამრიგებლის დიდი როლი იყო. მისი თქმით, აღნიშნულმა მასწავლებელმა ახლახანს დაიწყო მასწავლებლობა და მარტივი იყო მისი სკოლიდან გაშვება, თუმცა, სკოლა ორიენტირებული იყო მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე, გარდა ამისა, სხვა მშობლებს სურდათ, რომ

მასწავლებელი დარჩენილიყო სკოლაში და სააღმზრდელო პროცესი გაეგრძელებინა მათი შვილებისათვის. სკოლის დირექტორის განმარტებით, მომჩივან მშობელს შესთავაზა მოსწავლის სკოლაში დაბრუნება, ვინაიდან დასრულებამდე ერთი სემესტრი იყო დარჩენილი და უკვე შემდეგი სასწავლო წლიდან აღნიშნული მასწავლებელი არ იქნებოდა ბავშვის დამრიგებელი.
საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი, დაინტერესდა, გაიზიარა თუ არა მასწავლებელმა შენიშვნები და შეცვლიდა თუ არა მიდგომას. აქვე, შალვა მეკრავიშვილი დაინტერესდა, ხომ არ გამოუკვლევიათ ექსპერტებს, რით ხსნიდა მასწავლებელი ამ მიდგომას და სკოლის მხრიდან გატარდა თუ არა რაიმე სახის ღონისძიება, გარდა ტუტორი მასწავლებლის დანიშვნისა.
სკოლის დირექტორის განმარტებით, მასწავლებელს არ აქვს მსგავსი მიდგომა დანერგილი, აღნიშნული ფაქტები მოხდა უნებლიედ და მიიჩნევდა, რომ სიტუაცია ხელოვნურად იყო გამძაფრებული.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველის თქმით დისციპლინურმა კომიტეტმა მასწავლებელს გამოუცხადა გაფრთხილება.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, მიმართა მომჩივან მშობელს, საკმარისი იყო თუ არა მისთვის სკოლის მიერ წარმოდგენილი გეგმა, რათა სასწავლებლად ისევ დაებრუნებინა შვილი აღნიშნულ დაწესებულებაში.
მომჩივანი მშობლის განმარტებით, ბავშვის დამშვიდობების საკითხი არ იყო დაკავშირებული სკოლის ექსკურსიასთან, ვინაიდან ექსკურსია იყო თვეზე მეტი ხნის შემდეგ. მისი თქმით ლ.მ იყო ძალიან კომუნიკაბელური ბავშვი და მისთვის მშობლიურ გარემოში დაბრუნება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მშობელმა, განმარტა, რომ მას ჰქონდა ადვოკატებთან ურთიერთობის ცუდი გამოცდილება და ყველა საჩივარი ტექნიკურად იყო მისი შედგენილი, შინაარსობრივად კი მოსწავლის ლ.მ-ს მოსაზრებები იყო გადმოცემული, ვინაიდან მას ჰქონდა პროტესტის განცდა.
რაც შეეხებოდა წითელ და მწვანე ყუთებს, მშობლის განმარტებით, ეს იყო ნიშანდობლივად, ბავშვის სახელსა და გვარზე გახსნილი სათავსო, რომელშიც იყრებოდა გულის ფორმის ფურცლები. მისი თქმით, აღნიშნული ყუთები დემონსტრაციულად იყო ჩამოკიდებული კლასში და 22 მოსწავლე აკვირდებოდა რომელს რამდენი გული ჰქონდა. ასევე, მასწავლებელს ჰქონდა გვირგვინების დადების პრაქტიკა. მომჩივანი მშობელი აღნიშნავდა, რომ სხვა მოსწავლეებმა 6-7-ჯერ მიიღეს გვირგვინი, ხოლო მისმა შვილმა მხოლოდ ერთხელ. გარდა ამისა, მასწავლებელი არიგებდა ტკბილეულობას და საკანცელარიო ნივთებს კლასში და აღნიშნულიც არ მიუღია მის შვილს.
საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა მას კომუნიკაცია მასწავლებელთან.
მშობლის განმარტებით, მას არ ჰქონა ინფორმაცია მასწავლებლის მიდგომების შესახებ, მისი თქმით, ბავშვის სკოლიდან გადაყვანის შემდეგ, ლ.მ-ს შეექმნა მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემები, ბავშვმა მშობელს მოგვიანებით გაანდო, რომ ორი წლის განმავლობაში მას ჰქონდა დაძაბული ურთიერთობა მასწავლებელთან.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, აღნიშნა, რომ როგორც საუბრიდან ირვეოდა, მომჩივანი მხარის მეორე შვილიც სწავლობდა იმავე სკოლაში და მიმართა მშობელს, დაეზუსტებინა, მანამდე, მეორე შვილის კლასში თუ ჰქონია მსგავსი გამოცდილება.
მშობლის განმარტებით, მას მსგავსი გამოცდილება მანამდე არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 20:50
დასრულების დრო 21:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის (სკ: 211360141) მონიტორინგთან დაკავშირებით.

დაწესებულებაში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: 1-ელი, მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, განმარტა საბჭოს წევრების მოსაზრება და აღნიშნა, რომ სკოლას ესაჭიროებოდა გარკვეული მიმართულებით მუშაობა. საბჭომ საკმარისად არ მიიჩნია რეაგირების ის ფაქტი, რომელიც გამოიყენა დისციპლინარულმა კომპიტეტმა, ასევე, სკოლის მხრიდან არ განხორციელებულა ახალგაზრდა მასწავლებლის მხარდამჭერი ღონისძიებები, კათედრის წევრების ჩართულობა, გამოცდილების გაზიარება და ურთიერთდასწრება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 21:10 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა